იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საირიგაციო სისტემის გაუმჯობესების პროექტი საზეიმო გახსნის ცერემონია

2015 წლის 25 სექტემბერს 16:00 საათზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკაში გაიმართა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საირიგაციო სისტემის გაუმჯობესების პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბ-ნი ტოშიო კაიტანი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბ-ნი ედუარდ აღასარიანი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბ-ნი ჰამლეტ მოვსესიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი სამველ პეტროსიანი, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

პროექტი განხორციელდა კავშირ საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვან საქართველოსთან“ თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში ახალქალაქში დაახლოებით 100 ფერმერისთვის ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე მობილური სარწყავი სისტემა, რამაც გაზარდა მათი პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა და რაც ხელს შეუწყობს მომავალში რეგიონში ახალი სარწყავი ტექნოლოგიების დანერგვას. ამ პროექტისთვის გრანტის ოდენობა 87,542 ა.შ.შ. დოლარია.